პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 22 0000118709

07/02/2022

„სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ძიუდოს ინსტრუქტორი“ (ქ. თბილისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392929 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.განხორციელდეს ცვლილება „სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ძიუდოს ინსტრუქტორი“ (ქ. თბილისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392929 გადაწყვეტილებაში, კერძოდ

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ძიუდოს ინსტრუქტორი“ (ქ. თბილისი) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

ბ) გადაწყვეტილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

გ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ძიუდოს ინსტრუქტორი /01209/ ქ. თბილისში **(დანართი).**
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 7 თებერვლის №118146 ოქმის 6.5 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა